№ 140 მკათათვე 6, ხუთშაბათი 1889 მკათათვე 6, ხუთშაბათი № 140

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სიდონია იოსების ასული და ალექსანდრე ივანეს ძე ბაქრაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქალიშვილისას და მეორე დის — ნინოსას, უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ საკუთარის სახლიდამ, მთაწმინდის მეიდანზე, № 20, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, პარასკევს, 7 ივლისს, დილის 8 საათზედ. (1—1)

ტფილისი, 5 მკათათვე

ამ ჟამად პოლიტიკის ცა ცოტად თუ მეტად წარბ-შეკრულია, თუმცა გაზეთები დაბეჯითებით, გადაწყვეტილს ვერას ამბობენ: წვიმად წამოიქუხებს ეს ხშირი ღრუბელი, თუ მშვიდობიანობის ქარი ამოვარდება საიდგანმე და გაჰფანტავს. ყურადღებას გაზეთებისას უფრო ისევ ჯორდანო ბრუნოს ძეგლის აგება და პაპის გარისხება იქცევს. მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ იტალიის ლიბერალებმა ჯორდანო ბრუნოს, ამ დაუძინებელს მტერს კათოლიციზმისას, ამ იტალიისლიუტერს, სწორედ იქ აუგეს ძეგლი, სადაც დასწვა შეუბრალებელმა სამღვდელოებამ. ბრუნოსათვის ძეგლის აგება დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ და ჯერ კიდევ 1873 წელს სენატორმა ტ. მამიანმა გამოაცხადა, რომ სარწმუნოებრივის თავისუფლების სადღესასწაულოდ ძეგლი ავუგოთ ჯორდანო ბრუნოსაო. ამასობაში საძეგლე ფული ცოტ-ცოტა იგრიბებოდა და ეხლაც თუ განახორციელეს, ვგონებთ მხოლოდ იმის წყალობით, რომ მთავრობამ მხარი მისცა ამ ძეგლის აგების საქმეს.

ძველი რესპუბლიკელი და პაპიზმის მტერი კრისპი, რასაკვირველია, მფარველობას გაუწევდა ამ კათოლიკობის სამღვდელოებისათვის არა-სასიამოვნო საქმეს და ვერც ხელს შეუშლიდა, რადგან ყველას კარგად ახსოვდა იმისი ძველი ნათქვამი, რომელსაც ვერ გადავიდოდა ეხლანდელი მთავარ-მინისტრი იტალიისა. ძეგლის დადგმით აღშფოთებული პაპი პირველს დღეს გაუჩუმდა, არა სთქვა-რა და არც არა შეეძლო-რა, მაგრამ თავისს უსიამოვნებას, თავისს წინააღმდეგობას-კი ვერ დაჰფარავდა და ვერც დაჰფარა.

წმ. პეტრეს დღესასწაულის მეორე დღეს პაპს საიდუმლო კონსისტორიაში სიტყვა წარმოუთქვამს და კარგა ხანგრძლივად ულაპარაკნია ჯორდანო ბრუნოს ძეგლის აგების შესახებ. პაპის ლეონ მე-XIII აზრით, ბრუნო სრულიად არ იყო ღირსი ძეგლის აგებისა და ამ საქციელით რომის ეკკლესიის მტრებს მარტო უსიამოვნების მოყენება-კი არ უნდოდათ, არა, აზრად ისა ჰქონდათ, რომ სრულიად ძირს დასცე ეს ეკკლესია და განაქრონ და განაქარწყლონ მორწმუნეთა გულში დიდებული სარწმუნოებრივი გრძნობაო. ამასთან ჩვენი დაუძინებელი მტერი მთავრობა იყო ყველაფრის გამძღოლი და მოთავე, ეს ძეგლის აგება ამ მთავრობის მფარველობამ გამოსჩიკა და იმან მისცა განხორციელების ძალა და ღონეო. მტრები ეხლა მარტო პაპის მოქალაქობრივს უფლებას-კი არ ემუქრებიან, არამედ სულიერს უფლებასაც, თვით სარწმუნოებასაც. პაპის ძლიერებას ცოტ-ცოტა განადგურებასა და დამხობას უპირებენ და ეხლა უკვე იქამდე მივიდნენ, რომ საქვეყნო და ამოუშლელი შეურაცხება მოგვაყენოს—ძეგლი აუგეს დასჯილსა და ცუდს კაცს. ჩვენს მტრებს კარგად ვიცნობთ, მათი რიცხვი დღე-დღეზედ მატულობს და თუ ძალ-მომრეობამდე ჯერ არ მისულან, დარწმუნებით მაინც ვერავინ გვეტყვის, რომ ამ იარაღსაც არ მიჰმართავენ ჩვენდა დასათრგუნავად, მით უფრო, რომ იმათ ხელში ვართ, რომელნიც საჯაროდ იტალიის ინტერესების მტრობასა გვწამებენ და სირცხვილის ალმური-კი არ ედებათო.

ამ სიტყვიდგან აშკარადა სჩანს, რომ ვატიკანს კვლავ გადაუწყვეტია ებრძოლოს იტალიის მთავრობას და ყოველისფერში წინააღმდეგობა გაუწიოს. ერთს დროს საქმე თითქო ისე დატრიალდა, რომ იტალიის მთავრობა და პაპი მორიგებას აპირობენო, მაგრამ ეხლა ამაზედ ფიქრიც-კი უნდა განიშოროს კვირინალმაცა და ვატიკანმაც. როგორცა სჩანს, პაპი ლეონ მე-XIII თავისს უფლებას მაგრად მოსჭიდებია და ისე ადვილად ვერავის დაუთმობს. ამასობაში არც მთავრობა აპირებს გულის მობრუნებას, რადგან პაპის ამ სიტყვის შესახებ კრისპის გაზეთმა «La Riforma»-მ უკვე საჭიროდ სცნო გამოეცხადებინა: „ბრწყინვალე გონება ეხლანდელის მღვდელმთავრისა თანდათან ძირს იწევს და მცირდება, თუ პაპს მართლა განუზრახავს უწინდელს გზას დაადგეს ისევ და ეწინააღმდეგოს კვირინალსაო".

ეს შინაური უთანხმოება ცოტად თუ ბევრად-კი ხელს უგრავს იტალიას და ნებას არ აძლევს საერთაშორისო პოლიტიკაში თამამად გაერიოს, მით უმეტეს, რომ შინაურს არეულობას ემატება ავსტრიასთან ტრიესტის გამო მოურიგებლობაც. ამასობაში არც გარეთა აქვს იტალიას საქმე მომართულ-მოწყობილი. უკვე რამდენჯერმე გაისმა ხმა გაზეთებში, რომ იტალია გერმანიასა და ავსტრიას შველასა ჰპირდება რუსეთის წინააღმდეგაო. ეხლა, თითქო ამ ხმის დასასაბუთებლად, მეორე ხმა დადის, რომ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს კვლავ განზრახვა აქვს ჰნახოს იტალიის მეფე ჰუმბერტი აგვისტოს თთვეს მონცაში, სადაც იტალიის სამეფო გვარეულობა ზაფხულს ატარებს ხოლმე...

ა—ი

## ფელეტონი

### ფშაველი და ფშავლები

(შემდეგი*)

ტანთსაცმელი

ფშაურ მამაკაცის ტანისამოსი ბარის ქართველის ტანთ-საცმელისაგან ბევრით არაფრით გაირჩევა; მოხუცებულები, ორივე სქესისა, იცვამენ ფერით „ჯიგრიანს" (თალხს) ტანისამოსსა, ახალგაზდები-კი უფრო „ლაღფერსა" (მხიარულ ფერისას); ქვრივს ხელ-ახლად გათხოვებამდე სულ თალხები აცვია; გათხოვებამდე თალხების მოშორება სირცხვილია.

მამაკაცი იცვამს ხამის შილის (წითლად შეღებილი ხამიეა) ყუმაჩის ან ჩითის პერანგს. პერანგის საყელო საკინძით ან ღილებითა აქვს შეკრული. საყელოს შემოკერებული აქვს ბუზმენტი, ჩაფარიში, ანუ ზონარი. გულის პირზედ გადაკერებული აქვს ყუმაჩის ან მოვის „სამხრე" წითელის ფერისა. ახალოხს იცვამენ ნაოჭიანს, ყოშებიანს, ყოშებსა და საყელოზედ შემოკერებული აქვს ზონარი, გრეხილი, ან ბუზმენტი. ახალოხი ნაკერია ჰრელად, გამოყვანილია „კავა-ჯიჯიტა" და სხვა-და-სხვა სახეა. საახალოხე მასალაა ლასტიკი, ყანაოზი უბრალო ჩით-ფართალი, რომელსაც ფშავლები ჩარჩებისგან ძლიერ ძვირადა ყიდულობენ. ჩოხა აცვიათ შალისა შინ მოქსოვილი და შეკერილი, ან ბაზარში ნაყიდი, ფერად შავი, ან ლეგა. ჩოხას სხვა-და-სხვა ნაირსა ხმარობენ; შეხვდება კაცი ჩერქეზულ ჩოხის მსგავსს ჩოხასაც და წელ-ნაოჭიანსაცა: ვისაც როგორი მოსწონს, ისეთს ჩოხასა ხმარობს. ფეხზე აცვია ძროხის ტყავის ქალამნები, ან ჩუსტები, თავზე ჰხურავ ნაბდის ან ყიზილბაშური რუსთაველისებური დიდი ქუდი (მეტადრე მწყემსებს). დიდი ქუდი ცხვარში ქუდობასა და ბალიშობას უწევს.

ფშაური შინ მოქსოვილი შალი მაგარია, ისე მალე არ იგლიჯება, როგორც ნუხური შალი და სახით ნუხურს შალსა ჰგავს. ფშაური საჩოხე შალი მაგრად ნაქსოვობისაგან ხმელია და ამის გამო ფშავს გარდა მას ბაზარი არსადა აქვს, სიხმელის გამო დაწუნებულია. შალებს ჰქსოვენ ფშავლის დედაკაცები სამ ნაირ სახისას და სამივეს თავ-თავისი დანიშნულება აქვს. საჩოხე შალს ჰქსოვენ წალმა-უკულმა დაძახილ ბაწრისას და ეძახიან „წალმ-უკულმართას". მარტო „წალმართა" ბაწრის შალს საშარვლედ და საჯუბედ ხმარობენ, ორშიანს საფაფანაგედ.

ფშავლის დედაკაცური ტანთსაცმელიც უფრო ქართულს წააგავს, ვიდრე სხვა რომელისამე მათ მეზობელ მთის ხალხების სადედაკაცო ტანისამოსს. კაბა და თავზედ დასახური „ჩიქილა" ძლიერ მიემსგავსება ქართულ კაბას და თავ.ხურვას, მხოლოდ ქართველებისა გაუკეთესებული და შემუშავებულია ორივე, ვიდრე ფშაური კაბა და თავ-ხურვა, რომელიც უეჭველად ქართულისაგან წარმომდგარი უნდა იყოს.

საკაბე მასალას შეადგენს ჩითი, წითელი ან სხვა ფერის ყანაოზი და ლასტიკი, კაბა ემსგავსება ქართულ კაბას, იმის მსგავსად გულ-ამოჭრილია და ნაოჭიანად შეკერილი წელი აქვს. კაბა უფრო სადღესასწაულო და საგარეოდ სახმარებელია, ხოლო შინ საქმის დღეში პერანგ-ახალოხი, ანუ ჯუბა აცვიათ. ფშაური სადედაკაცო პერანგი გრძელია და წააგავს ძველ ეკლესიებზედ დახატულ წმინდა დედათ ტანთ-საცმელს; სადღესასწაულო პერანგებს ჰკერავენ მერდინისას (თავთა), მოვისას და ყანაოზისას, ხოლო სამუშაო და შინ სახმარებლად შილისას, ან ხამისას, რომელიც წითელის ან მოშავო ფერისა უნდა იყოს. ზაფხულში კაბას გარეთ აცვიათ შინ მოქსოვილი ორშიანი შალის მოკლე „ფაფანაგი", რომელიც უფრო მიემსგავსება ჩოხას, — ხოლო ზამთარში ცხვრის ტყავი.

თავზედ ფშავლის დედაკაცებსა ჰხურავთ უბრალო „თავი ჩითებიის" ანუ ჩით მერდინის ჩიქილა. „ჩიქილა" შეკერილია ოთხის თავი ჩითისა და აქვს სამ-კუთხედი ფორმა. ერთს კუთხეს, რომელიც დახურვის დროს უკან დასაშვებია, ჰქვიან ჩიქილის ბოლო, ხოლო დანარჩენები ორივე მხრებისკენ გადაიშვება და ჰქვიან ჩიქილის ტოტები. ჩიქილის ბოლოს მოკერებული აქვს სხვა-და-სხვა ფერის ფარჩის ნაკუწები და შემდეგ მოკერებული აქვს შინ მოქსოვილი, ან ბაზარში ნაყიდი აბრეშუმის ძაფის ფესვი. ჩიქილის ერთი ტოტი თავზედ დახურვის დროს ერთის მხრიდგან მეორესკენ გადაიკეცება და წვერი მარჯვენით გულზედ ჩაიშვება, რომელიც ან თავისუფლად დაფრიალებს, ან, თუ დედაკაცი გაჯავრებულია და ან სიცივეა, პირის ასახვევადა ხმარობენ. თავზედ დახურულ ჩიქილის დასამაგრებლად შემოკრული აქვთ სქლად დაკეცილი შავად შეღებილი სხვილი ჩითი, ან ხამი «ხელსახოცი». თუ დედაკაცი შეძლებულის ოჯახისაა, მეტადრე თუ კოხტაც არის, დღესასწაულებში, ან სტუმრად ყოფნის დროს ჩიქილას ზევით ქიშმირის შალს იხურავს.

ჯუბა, როგორც ზევითაც ნათქვამია, საშინაო, სამუშაო ტანთსაცმელია. თუ მეტად ღარიბის ოჯახისა არ არის, ფშავლის დედაკაცი ჯუბით საზოგადოებაში არ გამოვა. ჯუბა შინ მოქსოვილი „წალმართა" ბაწრის შალისაა, შავად შეღებილი, შეკერილია კაბის მსგავსად, მხოლოდ ნაოჭიანი წელი არა აქვს. ბოლოზედ მოკერებული აქვს წითლად შეღებილი შალი, სიგანით ორი გოჯი „ქუქუმო" და შინ მოქსოვილი ბაწრის ზონარი.

საზოგადოდ ფშავლის დედაკაცის ტანისამოსი სადაა, არაფრით არ უმახინჯებს ტანს, როგორც, მაგალითად, ხევსურის დედაკაცის ჯუბა, რომელიც ისე ახუნძლულ-დახუნძლულია, რომ ტურნუროსანთ კაბებს ძრიელ წააგავს, და თუშური ჯუბა-კი, რაც უნდა წერწეტის ტანის ქალი იყოს, ღიპიანად აჩენს.

მამაკაცისა და დედაკაცის ფეხთსაცმელი ერთმანეთისაგან არაფრით გაირჩევა, ორივე სქესი ჰხმარობს ძროხის ტყავის ქალამნებს, ჩუსტებსა და ძველებურს წუღებს.

საშინაო ტანთსაცმელი სადღესასწაულოსაგან განსხვავდება მხოლოდ იმითი, რომ დღესასწაულ'ში უფრო ახალი და სუფთა ტანისამოსი აცვიათ ვიდრე სხვა დროსა.

სამკაული

სამკაული მთის ხალხს საზოგადოდ ძალიან უყვარს, მათ შორის ფშავლი-კი ყველაზე ნაკლებს სამკაულსა ჰხმარობს. ფშავლებში, მაგალითად, დიდი სირცხვილია ხევსურულის ტანთსაცმელის მსგავსად ლილ-მძივით, „შილა-ლურჯით" და „სკლატ-აბრეშუმით" ტალავრის „მოჭრელება"; ხევსურისა, თუშისა და ქისტის დედაკაცებს სამკაულები ტანთ-საცმელის სხვა-და-სხვა ნაწილებზედ აკერიათ. ფშავლის დედაკაცის ტანთსაცმელი-კი მათისა და მთის სხვა ხალხების დედაკაცურ ტანთსაცმელისაგან განირჩევა სისადავით. ფშავლების დედაკაცის ყელ-გულის სამკაულია ყელზედ ჩამოკიდებული ვერცხლის, ან თითბრის შიბი, რომელზედაც შებმულია ჯვრები, ვერცხლის ფული, ანუ მისივე მსგავსი თითბრისავე ფარაები, ფერადის მძივის «გრეხილი», ასხმული აბრეშუმის ძაფზედ. გრეხილი ერთის გოჯის სიგანეა და შიგ ფერადის მძივით არის გამოყვანილი სხვა-და-სხვა სახეები. თუ გრეხილი სიგანით გოჯზედ მეტია, მაშინ მას უწოდებენ „ყელის-ჯაჭვს". გრეხილი ანუ ყელის ჯაჭვი მოკერებულია სადედაკაცო პერანგის საყელოზედ. დედაკაცებს ყელზედვე აქვთ ჩამოკიდებული ცალად ბაწარზედ ასხმული ფერადი მძივები და სხვა-და-სხვა ნაირი ჯვრები და ფარაები, შიგ ასხმულ მძივშივე დატანებულები; ყელზედვე გაკეთებული აქვს ჩითის „საგულე", რომელსაც ბოლო ნაოჭიანი აქვს, ხოლო ზევით შემკულია ფერადის მძივებით, და მოხვეული აქვთ ყელზედ საყელოს მსგავსად;

*) იხ. „ივერია", № 138 და 139.

# ახალი ამბავი

*** ამ სიცხეში ტფილისელის ერთად ერთი სულის მოსაბრუნებელი ადგილი ისევ მტკვარია, სადაც დიდი და პატარა ჭერეხებივით ეყრებიან თითქმის ყოველ დილა-სალამოს. ყველა თვით ღია მტკვარში ბანაობას ვერა ჰბედავს, ან შიშის გამო და ან კიდევ იმიტომ, რომ ყოველივე მოწყობილება არა აქვს ხელ-ქვეშ, და ამიტომ უმეტესობა საზაფხულო საბანებელში დადის, საზაფხულო თეატრის პირდაპირ. ამ საბანებელში ყოველ საღამოს, ექვსის-შვიდის საათიდგან დაწყებული ღამის თორმეტ საათამდე, ზღვა ხალხი დადის, მეაბანოე დიდ-ძალს ფულსა ჰკრეფავს—კაცის თავზე ორ შაურს, სამს და ერთს აბაზსაც—და აქამდე-კი არაფრით განაკარგა იქაურობა, თუმცა ფასი ბანაობისა ეს მესამე წელიწადია ზედა-ზედ ემატება და იმეტია, მომავალს გაზაფხულსაც იბარტყებს: წინად საერთო საბანებელში შესვლა ერთი შაური ღირდა, შემდეგ ორი გაჰხადეს და ეხლა კიდევ, ორ შაურიანთან, სამ-შაურიანიც გაუმართავთ. ამასობაში ფუტას არ აძლევენ რიგიანად მობანავეს, ერთი რომ შეიწმენდს ფუტით, ცივს წყალს გადაავლებენ ხოლმე, ჩამოჰკიდებენ წყლის პირას და ჯერ არ შემშრალა, რომ მეორესთან მიარბენინებენ, თითქო არ შეეძლოთ მოიჯარადრეს ამ აბანოსას, რომ ფუტები ცოტა მეტი ეყიდნა და მეტი ეხმარებინა. ამას გარდა სასურველია, რომ ათასად დამტვრეული, დაკერებული და გაბზარული სარკეები გამოსცვალონ და საერთოდ სახმარებელი ჩოთკები და სავარცხელი კარგად გასწმინდონ, გაასუფთაონ ხოლმე. საზოგადოდ უფრო მეტის სისუფთავის ჩამოგდებას უნდა ეცადნენ, თორემ შეიძლება სხვა-და-სხვა გადამდებ სნეულების გავრცელებას შეუწყონ ხელი, რადგან ერთისა და იმავე რიგიანად გაურეცხავ ფუტით ხშირად ერთ საღამოს ათი თხუთმეტი კაცი იწმენდავს. ამას სულ მცირე ხარჯი უნდა და არც გაუჭირდება მოიჯარადრეს, რადგან ძალიან კარგი შემოსავალი აქვს. ხარჯი თითქმის არაფერი უნდა იყოს იმისთვის, რადგან გაუკეთესებულს, გასუფთავებულს აბანოში უფრო მეტი ხალხი ივლის და შემოსავალსაც გაუბევრებს.

*** ამ დღეებში ტფილისში დაიბეჭდა სომხურს ენაზე იტალიელის მწერლის ედმონდ დე-ამიჩისის თხზულება „გული“ (მოსწავლის დღიური). ეს წიგნი სომხურად უთარგმნია ბ-ნს ვარდანიანს, სუფთად დაბეჭდილია ვართანიანის სტამბაში და ღირს ერთი მანეთი.

*** ქვემო-იმერეთი: აქ წელს ძალიან მცირე მოსავალს მოელიან. ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ სიმინდის ფასმა შესამჩნევად იკლო, ძალიან აწუხებს მცხოვრებლებს. ფუთი სიმინდი, რომელიც წინად სამ აბაზზე მეტსა ჰფასობდა, წელს ორ აბაზზე მეტად არ გადის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სიმინდი ქვემო-იმერეთში თავი და თავი სახსარია ცხოვრებისა, აშკარა იქნება, რომ ქვემო-იმერლები ძალიან შეწუხებულნი და დაღონებულნი უნდა იყვნენ.

*** სოფ. წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის კრება გულითადს მადლობას უცხადებს ქ-ნს ანნა ნიკოლოზის ასულს იოსელიანისას და მთელს დუშეთის საზოგადოებას იმ 275 მანეთისათვის, რომელიც სკოლას შესძინეს დუშეთში ალეგრისა, ბუფეტისა და სასეირნო საღამოს გამართვით.

*** გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ პეტერბურგის ერობის საოსტატო სკოლაში კურს-შესრულებული ახალგაზდა მასწავლებლები მოუწვევია სამსახურში კავკასიის სასწავლო მთავრობას და აღუთქვამს მათთვის მასწავლებლების ადგილების დათმობა კავკასიის პირველ-დაწყებითს სკოლებში, მაგრამ იმათ ეს წინადადება არ მიუღიათ, რადგანაც პეტერბურგის ოლქში და რუსეთის შიდა გუბერნიებში რჩებიან სამსახურსაო.

*** ამ ოციოდე წლის განმავლობაში მრავალი ძველი სამკაული და ნივთი დაიკარგა ჩვენის მონასტრებისა და ეკლესიებისა და იმათი გზაკვალი დღემდე ვერ აღმოუჩენიათ. ზოგი დიდებული ტაძარი თითქმის სრულიად გაიძარცვა და მრავალი ნივთი, რომელიც ტაძრის სიმდიდრესა და სახელს შეადგენდა, სადღაც დაიკარგა. ამის შესახებ მუდამ საჩივარი ისმოდა მწერლობასა და საზოგადოებაში, მაგრამ ამ საჩივარმა თავის დროზე საქმეს ვერ უშველა. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში ათხოვეს ყურადღება საზოგადოდ ძველს ნაშთებსა და საეკლესიო სამკაულს და ამიტომ, იმედია, ეკლესია-მონასტრების ძარცვა-გლეჯას დღეის შემდეგ აღარ შევესწრებით. ამ ჟამად არამც თუ იკარგება, არამედ კიდეცა ჩნდება აქა-იქ ზოგი დიდის ხნის დაკარგული საეკლესიო ნივთი. მაგალითებრ, გაზ. „ახალ მიმოხილვას“ შეუტყვია, რომ პეტერბურგში აღმოუჩენიათ ძვირფასი თვალ მარგალიტი, რომელიც ერთს იმერეთის მონასტერს ეკუთვნოდა და დიდის ხნის დაკარგული იყო.

*** გაზეთი „კავკაზი“ გვატყობინებს, რომ ამ ჟამად ბ-ნი ი. ი. კერესელიძე ქართულად სთარგმნის გენერალ-ლეიტენანტის ს. ქიშმიშოვის თხზულებასაო: «ომები ნადირ-შაჰისა ჰერათსა, ყანდაჰარსა და ინდოეთში და სპარსეთის ამბები ნადირ-შაჰის სიკვდილს შემდეგ“. ბ-ნს კერესელიძეს ნახევარზე მეტი უკვე გადაუთარგმნია და თარგმანის ბეჭდვას ამ მოკლე ხანში შეუდგებიანო.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს პატივცემულს გაზეთში ორჯელ იყო მოხსენებული „ახალს ამბებში“, რომ ერთმა ზეგიზაშვილთაგანმა მოჰკლა ჯუგაშვილების მეგვარეულე კაცი და აქედამ დაიწყო იმათ შორის მტრობა და შურის-ძიებაო. მეორეჯერ ავტორი „ახალის ამბებისა“ აი რასა სწერს «ივერიის» მე-133 №-ში: ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო, რომ სოფ. ქელიათში (ჯავის ხეობაზე) მცხოვრებლებმა ჯუგაშვილებმა ყური მოსჭრეს სოფელ ედისაში მცხოვრებელ ზეგიზაშვილების გვარის პატარა თორმეტის წლის მწყემსსაო. ეს საზიზღარი საქციელი გამოიწვია იმან, რომ წინად ერთმა ზეგიზაშვილთაგანმა მოჰკლა ჯუგაშვილების მეგვარეულე კაცი. ავტორი როგორც პირველის ამბისა, ისე მეორისა შემცდარია. ზეგიზაშვილებისა და ჯუგაშვილების გადამტერებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ ვინ, თავდაპირველად მიზეზი გადაკიდებისა და გაუთავებელ სისხლის მიების ვინ, რომელი გვარი იყო. ზეგიზაშვილებ-კი არ მოჰკლა პირველად ჯუგაშვილთაგანი, არამედ ჯუგაშვილთაგანმა მოჰკლა ზეგიზაშვილების მეგვარეულე კაცი და ამაზედ აშენდა მტრობისა და სისხლის ძიების საქმე. ზეგიზაშვილებმა ეს ამბავი, ე. ი. მოკვლა ზეგიზაშვილისა ჯუგაშვილთაგან პირველად მთავრობას მოახსენეს და და სთხოვეს, დაიცვან და ყურადღება მიაქციონ ჯუგაშვილების საზიზღარს საქციელს. აი საქმე ასე დაიწყო და ასე მოხდა და გთხოვთ თქვენის გაზეთის უახლოესს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ მცირე შენიშვნას ჭეშმარიტების აღსადგენლად.

. ალექსი ზეგიზაშვილი

◆◆

# რუსეთი

ერთი აზირებული ამბავი მომხდარა ამას წინად ერთის მდიდარ ვაჭრისას პეტერბურგში. თორმეტის წლის ვაჭიშვილი, ერთად-ერთი შვილი ოჯახისა, სადღაც დაიკარგა თურმე... დილით, თიბათვის 20-ს, დედას გამოსთხოვა ყმაწვილმა ნება საზაფხულო ბაღში სეირნობისა და მთელი დღე აღარ დაბრუნებულა სახლში. რაღა თქმა უნდა, დედ-მამა დიდად გულ-გახეთქილები იყვნენ, არ იცოდნენ სად ეძებნათ, მოიარეს ყველა ნაცნობები, მაგრამ ვერსად იპოვნეს, ვინ იცის, რა არ გაიტარეს გულში და ის იყო პოლიციაში უნდა გამოეცხადებინათ ყმაწვილის დაკარგვა, რომ ამ დროს, მეორე დღეს, დილის 12 საათზედ, ეწვიათ ნაცნობი ვაჭარი და თან იმათი შვილიც მოიყვანა. აი რა უამბნია იმ ვაჭარს:

— ეს ვაჟბატონი მე პსკოვში ვიპოვნე. ვარშავიდგან ვბრუნდებოდი პეტერბურგში. მატარებელი პსკოვში

---

საგულეს მაგიერ ხმარობენ იმისავე მსგავსად ასხმულს მძივს „ფარცხას“, რომელსაც ნაოჭიან ბოლოს მაგიერ ფერადის მძივის ფესვები აქვს. ყელის ჯაჭვსა, ფარცხას და შიბს მოხუცებული და ხანში შესული დედაკაცები აღარა ხმარობენ. ხელის სამკაულადა ხმარობენ ვერცხლისა და თითბრის სათითეებსა და ბეჭდებს. ძველ დროში ხელის სამკაულად, ბეჭდებსა და სათითებს გარდა, როგორც მოხუცებულები ამბობენ, ხმარობდნენ თითბრის, რკინის და ვერცხლის ზალტეებს (სამაჯურებს), რომლებიც მაჯებზედ ჰქონიათ გაკეთებულები. ეს სამკაული თუმცა ხმარებიდგან გამოსულია, მაგრამ ზოგიერთ ბებრებს კიდევა აქვთ შენახული, როგორც სახსოვარი თავის ახალგაზდობისა. ეხლანდელის ზალტეების მსგავს სამაჯურებს ძველს საფლავებში და აკლდამებში ჰპოულობენ და ამის გამო შესაძლოა, რომ ეს სამკაული ძლიერ ძველის დროისა იყოს.

სადედაკაცო ტანისამოსის, ესე იგი კაბისა და ახალოხის საყელოებზედ და ფაფანაგის სახლებზედ ახალგაზდები ხშირად იკერებენ შავს ან მწვანე ზონარს, ჩაფარიშს და ან ბუზმენტს; პატარებისთვის აკერებენ საყელოზედვე და მაჯებზედ შესაკრავად, ხრიკების მაგიერ, თეთრ ღილებს. ყველა ეს შეიძლება სამკაულად ჩაითვალოს, მაგრამ ამ ნაირად შემკული ტანისამოსი სადარბაისლო ტანთსაცმელად არ ითვლება, რადგანაც ამ ნაირ სამკაულის პატრონი «ყელ-ღილიანი» ქალი ხშირად ფშაველის საოხუნჯო ლექსების საგნად გახდება ხოლმე. ხშირად ამავე მიზეზის გამო, არამც თუ რძლები, ჰკვიან-ნამუსიანობაზედ თავდადებული ქალებიც-კი ერიდებიან სამკაულს, ან სულ მცირესა სჯერდებიან, რომ სოფელმა «თავის ძალად მობებრებაზე» არ დასძრახოს სამკაულის უხმარებლობის გამო.

სამკაული მამაკაცებს შორის უფრო არ არის პატივცემული, იმათს სამკაულს შეადგენს ვერცხლის „მხრის შიბი“, რომელიც ჩოხის უბის მასრაზედ აქვს დაკერებული, აშურმა, რომელსაც ძველ დროში ხმარობდნენ ქართველები და ფშაველებიც და დღეს ხმარებიდან გამოდის. აშურმა, მხრის შიბი და ახალოხის ყოშა-საყელოზედ მოკერებული ბუზმენტი არის უფრო „ჰკვა-მსუბუქის“, „ცრუვ-მატაროცის“ სამკაული, ვიდრე დარბაისელი კაცისა, თუნდაც ახალგაზდასი. სხვა სამკაული ფშაველს მამაკაცს არ მოეპოვება, თუ მხედველობაში არ ვიქონიებთ იარაღს, რომელიც დამამშვენებელ სამკაულად ითვლება მამაკაცისთვის ჰასაკის განურჩევლად. იარაღი, როგორც განუყრელი ძმა, ფშაველს ყოველთვის ახარებს და იმას იგი ასე დაჰმღერის:

წინანდალს ვაშლი ამშვენებს,
ახმეტას ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა—ფარი და ხმალი,
მოიმწითუროს კისერი.

## საჭმელი და სასმელი

ფშავლები მომეტებულ ნაწილად ქერის პურით იკვებებიან. ამის მიზეზი ის არის, რომ ფშავეთი მთა ალაგია და ამის გამო სხვა პურის მცენარე ან სულ არ მოდის და ან ზოგიერთი თუ მოდის, ისიც ნაკლებად. ყველაზედ მომეტებულად ქერი მოდის და ფშაველიც ქერის თესვას მისდევს. მოდის აგრეთვე დიკა. ანეული-კი გარდა რამდენისამე სოფლისა თითქმის სულ არ მოდის არტნის, შუაფხოს და მაღაროს კარის საზოგადოებებში. დიკა-კი ამ საზოგადოებებში ცოტ-ცოტა ყველგან მოდის, მხოლოდ დაბლობ ადგილებზედ სადაც სიცივე ვერ აზნევს და პირველ გაზაფხულზედ მოხვნა შეიძლება. ამ ნაირი დაბლობი ადგილები ფშავში ერთობ ცოტაა და საკმარს დიკას ვერც ამოუცენებენ მცხოვრებლებს. ამის გამო ფშავლის შეძლებული ოჯახიც-კი იშვიათად იკვებება ცარიელ წმინდა პურით. პურს აცხობენ ან ცარიელ ქერისას, ან დიკა-გარეულისას, „ქერ-დიკისას“. ცარიელი დიკის პურის ცხობა აუცილებლად სავალდებულოა მიცვალებულების მოსახსენებლად, „სარიგოდ“, „საჯვარობოდ“ და საქორწილოდ. ჩვეულებრივს, არა—დღესასწაულის დროს საჭმელ პურს ფშავლები აცხობენ კეცებში რგვალ-რგვალს ანუ სხვილ გძელ-გძელ შოთებსა, „სარიგოს“ და საქორწილოს-კი თონეში ან, ღუმელში თხელ-თხელ ლავაშებად. საშინაო, საჯალაბო პურს ფშაველი არ ამარილებს და არც შიაჩნია ეს საჭიროდ, რადგანაც ფშაველი ძალიან ღარიბიც რომ იყოს, ცარიელა, „უსატნო“ პურს არა სჭამს: „სატანი“ არის ყველი ცხვრისა, თხისა, ფურისა და ხაჭო, რომლებიც ისე დამარილებულები არიან, რომ პურის უმარილობა შეუვსებენ კაცის გემოვნებას.

მიცვალებულის მოსახსენებლათ და საქორწილოდ გამომცხვარ პურს-კი ამარილებენ. „სარიგო“ პურს ამარილებენ მიცვალებულის სახელზე ღვდლისაგან ნაკურთხ მარილით.

ყველა საჭმელებზედ მეტად საყვარელი და საპატიო საჭმელი ფშავლისა არის ხორცის ხინკალი. ფშაველი უხინკლოდ არც ერთს დღესასწაულს არ გაატარებს, თუ მეტის-მეტად ფიტგამოცლილი არ არის სიღარიბისგან. სტუმრისთვის ხინკლით გამასპინძლებაც სასახელოა ფშავლისათვის, იგი თავის თავს მოვალედა სთვლის „გულის“ სტუმარს მაინც ამ საჭმელით გაუმასპინძლდეს. ხინკალს აკეთებენ ხორცისას, ყველისას და ხაჭოსას, საუკეთესო-კი ამათ შორის ხორცის ხინკალია. ხინკლისათვის რგვლად ათხელებენ წმინდა პურის ფქვილის ცომის ქერქს; ქერქს უდებენ გულსა და ისე მოახვევენ და ჰხარშავენ. ხინკლის გულად ხორცსა ჰკეფავენ წმინდად, გაზელავენ წყლით და ხახვ-პილპილით შეანელებენ.

ფშაურ მზარეულობას მაგდენად წინ არ წაუწევია. მარტივმა ცხოვრებამ მარტივი სამზარეულოც შეუმუშავა ფშაველს და ამას დააჯერა. შემწვარ-მოხრაკულ საჭმელებს ფშავამდე ჯერ ვერ მიუღწევია, თუ სახეში არ ვიქონიებთ ჩვეულებრივს მწვადსა, ყაურმასა და ერბო-კვერცხს, რომლებსაც ფშაველი თითქმის ხინკალზედ ნაკლებ არ ეწყობა. ხსენებულ საჭმელებს გარდა, ფშავლები აცხობენ, მეტადრე დღესასწაულებში, ქადას, ხმიადს და კეცეულს (ხაჭა-პური). ქადასა და ხმიადს უფრო ხმარობენ მიცვალებულების მოსახსენებლად და ხატის დასადიდებლადაც.

ჩვეულებრივს დროს (არა-დღესასწაულში) ფშაველი, თუ სტუმრები არა ჰყავს, სჯერდება ხმელა პურყველის და პურ-ხაჭოს ჭამას. ზაფხულობით სველ ლუკმას („ასახვრეტს“) შეადგენს რძე, ჩუმა, გაუწურავი ხაჭოიანი შრატი და მოხარშული ხორცი წვნით, რომელსაც მხოლოდ მარილით ანელებენ. სამარხვო საჭმელია ლობიო, ცერცვის და ოსპის „დოხანი“, ნიორ-წყალი და ხმელა პურ-მარილი. კარტოფილისა და კომბოსტოს მოყვანა და ხმარება ფშავში ნაკლებად გავრცელებულია. კარტოფილსა სჭამენ მოხარშულს, ხახვით, პილპილით, მარილით და ერბოთი შენელებულს, ხოლო კომბოსტოს წნილად ჩადებულს.

საჭმლის მომზადება ოჯახისთვის და „პურ-საჭმადის“ საზამთროდ შენახვა დაზოგვა დიასახლისის მოვალეობაა. დიასახლისი აცხობს პურს, ამზადებს საჭმელებს და აჭმევს ოჯახის ყველა წევრთ. პურის საჭმელად დაწესებული დრო ფშაველს დღეში სამი აქვს: სადილობა, სამხრობა და ვახშმობა. ყოველ დროს იმასა სჭამს ფშაველი, რაც მოეპოვება, ასე რომ სასადილო, სავახშმო და სასამხრო საჭმელებში არავითარი განსხვავება არ არის, უფრო სამხრობა სახელდახელო საუზმის ჭამის დროა და ამისთვის ფშაველი საგანგებოდ არ ამზადებს საჭმელსა, სჭამს ან სადილიდგან დანარჩენ საჭმელს და ან ხმელა პურს.

შესდგა. ვიფიქრე, მოდი ბუფეტში შევალ მეთქი დასანაყრებლად. გამოვედი თუ არა ვაგონიდგან, ვნახოთ იქვე სდგას ახლად მოსული მატარებელი პეტერბურგიდგან. გავუარე ახლოს ამ მატარებელს და ვნახოთ ღია ფანჯარაში თქვენს შვილს-კი გამოუყვია თავი. დამინახა თუ არა, პირი მომარიდა. პირდაპირ მივედი. „ვისთან მიემგზავრები-მეთქი,ვასო“.— „მარტო ვარო“.—„მერე შორს მიდიხარ-მეთქი სადმე?“ ხმას არ ამოიღო. „არა, მე შენ თავს არ დაგანებებ-მეთქი“, ვიფიქრე ჩემს გუნებაში... ‹ხომ არა გშიან-მეთქი?› დავეკითხე,—„მშიანო“.—„მაშ წავიდეთ ბუფეტში“. გამომყვა. ‹ბარგი გაქვს-მეთქი რამე?›—„მაქვს, ტელესკოპიო“.—„მოიტა აქა, თორემ შეიძლება მოგპარონ-მეთქი“. უშველებელი დურბინდი მომაწოდა და შევედით ბუფეტში. ამ დროს, როცა ჩვენ ბუფეტში ვიყავით, ამისმა მატარებელმა მოუსვა. გამოვედით იქიდგან და ჩემს მატარებელში ჩავსვი. ბევრი ვეჩიჩინე. მითხარ სად მიდიხარ-მეთქი, მაგრამ აბა, ენა არ დაუძრავს... ამასობაში პეტერბურგს მოვაწიეთ. ვასომ მიიხედ-მოიხედა, იცნო ალბად ქალაქი და შემომიბრუნდა: „ძია, ეს რა მიყავ, მომატყუეო“.—„როგორ თუ მოგატყუე-მეთქი?“ — „ისე, რომ უკანვე მომიყვანე პეტერბურგშიო“. — როგორ თუ პეტერბურგში მეთქი? ბიჭოს... ერი გიჟი ჰა, პსკოვშივე გავბრიყვებულვართ-მეთქი და სხვა მატარებელში ჩამსხდარვართ“... ასე გახლდათ საქმე, აი თქვენი მგზავრიცა და მისი დურბინდიც...

ყმაწვილი სულ ქვეშად შესცქეროდა ვაჭარს და კრინტს არა სძრავდა. დიდხანს ეკითხებოდნენ დედ-მამა, სად აპირებდა წასვლასაო, მაგრამ ხმას არ იღებდა და მხოლოდ ბოლოს სთქვა თურმე, რომ პარიჟში მინდოდა წასვლაო...

— მერე რა გინდოდა პარიჟში? — ეკითხება მამა. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო.

— რა მინდოდა? გაზეთებში წავიკითხე, რომ იქ დიდი, უშველებელი ციხე აუშენებიათ, ბაბილონის გოდოლზედ უფრო მაღალი... და ვინც ამ ციხიდგან გაიხედავს ტელესკოპით, დაინახავს მთელს ამერიკას, მდ. მისისიპსა და ამაზონკას და აგრეთვე ნიაგარის წყალ-ვარდნილსაცაო. მაინრიდს-კი ისე კარგად აქვს ეს ადგილები აწერილი, მამილო, რომ ძალიან მინდოდა გულით მენახა. ვიფიქრე: წავალ-მეთქი პარიჟში, იმ ციხეზედ ავალ, ამერიკას ვნახავ, დავსტკბები იმის ცქერით, თუ როგორ მოდის და ტალღებს მოისვრის განიერი ამაზონკა და ან უშველებელი, ქალაქისოდენა გემები როგორ დადიან მისისიპში... ვნახავდი და მაშინვე უკან დავბრუნდებოდი... იმ წუთას...

„— მერე ფულები ვინ მოგცა?

„— თქვენ არ მაჩუქეთ ჩემს დღეობაზედ 25 მანათი. დედისაცა მქონდა დიდის ხნის ნაჩუქარი 25 მანათი. აი ამ ფულით 17 მანათი ტელესკოპში მივეცი და ბილეთი ავიღე ვარშავამდე. მამილო, შენ გენაცვალე, წამიყვანე პარიჟში, მაჩვენე ის კოშკი!.. და ბავშვი მამას ჩამოეკიდა თურმე კისერზედ.

გახარებული მამა დაჰპირდა, რომ უეჭველად წაგიყვან პარიჟში და ეიფელის კოშკს გაჩვენებო.

—ყმაწვილი კაცი შ--ნი ძალიან ხშირად დადიოდა თურმე ვაჭარ ს—ევთან. ამ ვაჭარს ორი უკვე მოწიფული და ხან-გადასული ქალი ჰყავდა და ეს ქალები იზიდავდნენ ყმაწვილ კაცს. ამ სიარულმა ხუთს თვეს გასტანა და შ—ნს კარგად უხვდებოდნენ, დიდის სიახარულით ეგებებოდნენ. ხოლო რადგან საუკუნო ამ ქვეყნად არაფერია, ამათს მეგობრობასაც ბოლო მოეღო თურმე. უსიამოვნების მიზეზი თვით ვაჭარი, ქალების მამა შეიქნა. ერთს მშვენიერს დღეს იგი მიუბრუნდა ყმაწვილს კაცს და პირდაპირ უთხრა, რომ შემატყობინეთ, რა აზრით დაიარებით ჩემს ოჯახში, სადაც, როგორც იცით, ორი გასათხოვარი ქალიაო. ყმაწვილმა კაცმა ისეთი ზერე-ქვერე პასუხი მისცა, რომ ვერ დააკმაყოფილა ვერც ქალის მშობლები და ვერც თვით ქალები. საქმე იმითი დასრულდა, რომ, რა-კი ყმაწვილმა კაცმა შეიტყო ქორწინების გამართვას აპირებენო, შეაგდო ქვა ვაჭრის ს—ევის სახლს და ფეხი აღარ შესდგა. ამას შემდეგ ვაჭარ ს—ევის სახლში შემდეგი ახირებული ამბავი დატრიალდა თურმე: ერთს მშვენიერს დღეს ვაჭრის სახლს მიადგნენ სხვა-და-სხვა ხალხნი და დაუწყეს ზარებს რაწკუნი. ყველანი იმას ჰკითხულობდნენ, რომ ის ორი ძროხა გვაჩვენეთ, რომელსაც ჰყიდითო. თურმე ეს ხალხი ვაჭრისას მიეყვანა გაზეთის განცხადებას, რომელშიაც ეწერა: „ისყიდება ორი მოსული ხოლმაგორიული ძროხაო“. ამ განცხადებას ვაჭრის ს—ევის ადრესი მოსდევდა. ვაჭარი მიხვდა, რომ ამ ოინს ის შ—ნი მიზამდა, რომელიც სახლიდგან დაეითხოვეო, და უჩივლა თურმე ამ კაცს: ჩემს ქალებს შეურაცხება მიაყენა, ხოლმაგორიული ძროხები უწოდა, რადგან არხანგელსკის გუბერნიისა და ხოლმაგორიის მაზრის მცხოვრებელი ვარო. სასამართლოს შ—ნი გაუმართლებია, რადგან მოჩივარს თავისი ბრალდება ვერაფრით დაუსაბუთებია.

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინისა

### II*)

ყმაწვილობიდგანვე ამერიკელი ქალი ყველგან ჩვეულია მბრძანებლობასა და პატივისცემას. ისინი ყველგან ისე არიან, როგორც თავის სახლში. ნიუ-იორკში, ამ კოსმოპოლიტს ქალაქში, სადაც ირლანდიელები უფრო ბევრნი არიან, ვიდრე დუბლინში, უფრო ბევრი გერმანელები, ვიდრე ბერლინსა და ვენაში, იმას გარდა ჩიკაგოსა და სენ-ლუიშიაც გარეგანი ნიშნები ქალის მბრძანებლობისა უფრო ადვილად იქცევს ადამიანის ყურადღებას. ყველა საზოგადო ადგილში, თეატრებსა და სასტუმროებში, რკინის გზებსა და გემებზედ, სასეირნოებსა და მაღაზიებში, ქუჩაზედ თუ სახლში,—ყველგან დედაკაცი მბრძანებლობს, იგია დედოფალი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რადაც არის ამერიკელი ქალი მბრძანებელი. ყოველ გვარს უფლებას თავისი დედა-აზრი აქვს, თავისაი სათავე, სადაც დასაწყისი ეძლევა და საიდგანაც მომდინარეობს. ამ შემთხვევაში ამერიკელ ქალის უფლების სათავე ბუნებრივი სილამაზეა, ამ სილამაზითა ჰხიბლავს იგი გარემოს, იმის სიყვარულითა და სიჭაბუკით შეერთებულმა მშობლებმა ყოველისფერი მისცეს თავისს ქალიშვილს, რასაც-კი ბუნება ანიჭებს ნაყოფს ახალგაზდობისასა და სიყვარულისას.

იბერიელისა, ფრანგისა, იტალიელისა და გერმანელის სისხლი ამერიკელ ქალის ძარღვებში ინგლისურ სისხლთან არის შეერთებული და მამა-პაპათა მოუხეშავს ხასიათს კეთილშობილებს და ახალისებს ეს შეერთება. ამიტომაც ამერიკაში ყოველ გვარს სილამაზეს შეჰხვდები: ვნებათა ღელვით სავსე ქალსაც, რომლის მშობლებიც ევროპიელ-ინდიელნი არიან; ინგლისელ ქალის კეთილშობილ სასესაც; ცოცხალს თვალებს ცქრიალა ფრანგ ქალისას და ნაზ-კანიანს და წვრწეტა ასულს ირლანდიისას. ამ სხვა-და-სხვა ჯიშისა და ჯილაგის სახლისაგან ამერიკელს ქალს მხოლოდ ისა აქვს შეთვისებული, რაც უფრო საუკეთესოა და რაც უფრო თავ-მოსაწონად მიაჩნიათ თვით იმ ჯიშისა და ჯილაგის ხალხსაც, რომლის ბუნებრივს საკუთრებასაც იგი შეადგენს. საქორწინოდ ქალსა და კაცს ახალგაზდობა და სიყვარული შეარჩევს ხოლმე, რადგან შეერთებულს შტატებში ქორწინება მხოლოდ ურთიერთ მოწონებასა და თანხმობას მოსდევს.

დიდხანს იყვნენ ამერიკელი ქალები თავისს ახალს საცხოვრებელში შეკეტილნი, იმ საცხოვრებელში, რომელიც არაფრით იზიდავს ყურადღებასა და ცნობის-მოყვარეობას მოგზაურისას, იმათი მაქებელნი და თაყვანის-მცემელნი უცხო-ქვეყნელთა შორის იყვნენ მარტო ზღვაზედ მოსიარულე აფიცრები და დიპლომატები, რომელნიც სამსახურის გამო იძულებულნი იყვნენ ვაშინგტონში ეცხოვრათ. აქაურმას ქალმა მხოლოდ მაშინ გაითქვა სახელი თავისის სილამაზით, როცა ამერიკასა და ევროპას შორის მისვლა მოსვლა გაადვილდა და როცა გამდიდრებულ ამერიკელებმა მოგზაურობა დაიწყეს. ძველი ევროპა იზიდავდა მათ თავისკენ. ამერიკელი თავის მოვალეობად სთვლიდა, როცა სწავლას დაასრულებდა, ენახა და დაეთვალიერებინა ევროპის ძეგლნი, სასახლენი, ქალაქები,

*) იხ. „ივერია“ № 139.

---

საჭმელი ყოველ ჯერზედ ერთი აქვს ფშაველს, ერთჯერზედ საჭმელად რამდენსამე საჭმელს არ აკეთებს; ოჯახის ყველა წევრთათვისაც ერთნაირი საჭმელი იხარშება, საჭმელის სხვა-და-სხვაობა და კაც-დახედულ მიკერძება სირცხვილია. დიდი, პატარა, კაცი და დედაკაცი,—ყველა ერთს საჭმელსა სჭამს ყოველ ჯერზედ. შესაძლოა მხოლოდ ავადმყოფს ცალკე რაიმე საჭმელი შეურჩიონ.

პურის ჭამის დროს ოჯახის ყველა წევრნი თავ-თავიანთს ადგილებზედ დასხდებიან: კაცები საკაცო მხარეზედ და დედაკაცები სადედაკაცო მხარეზედ. პურის ჭამის დროს პური და ყველი უწყვიათ ხის ხონჩებზედ, რომლებიც კერას გარშემო მჭკრივად დამსხდარ ოჯახის წევრთ წინ უდგათ. პურიან ხონჩას დიასახლისი მიაწვდის მამაკაცებს სადიასახლისო ალაგიდგან; დიასახლისს ერთ-ერთი მამაკაცთაგანი სუფრას ჩამოართმევს, დაილოცება და დაუდგამს კაცებს წინ, შემდეგ ყველანი ღმერთს შეეხვეწებიან, პირჯვარსაც დაიწერენ სხვა წევრნიც ოჯახისა და შეუდგებიან ჭამას, რომელსაც მალე ათავებენ. პურიანი ხონჩა დიასახლისმა საკიდელის ზევით მხარედგან უნდა მიაწოდოს, ქვევიდგან მიწვდა ცუდია, სახლის ანგელოზს გაარისხებს, ნიშანია დიასახლისის უზრდელობისა და „უმწურთნელობისა“. ფშაველი ყველა ცხოველის ხორცსა სჭამს, გარდა „უსურმაგისა“, მხოლოდ ზოგიერთები ქათმისა და ღორის ხორცს არა სჭამენ, რადგანაც ესენი ორივენი უწმინდურებად ითვლებიან და ამის გამო ხატი იმათ ხორცის ჭამის ნებას არ აძლევს. ჯამი და კოვზი ოჯახის ყველა წევრს თავისთვის დაჩემებული აქვს, მაგრამ ეს ჩვეულება ისე საკალდებულო არავისთვის არ არის, რომ სხვის ჯამიდამ სხვის კოვზით ჭამა არ შეიძლებოდეს.

ბალახეულობიდგან ფშავლები უმსა სჭამენ: ‹კირძას› (იგივე კენკეშა) შუბყასა, დუცსა, დიყსა, ძირხვნის ღეროს, მაყალურჯას (ჭყიმა), თუთის ღეროს და მარიამულას, ხოლო ‹ მხლად › მოხარშულს არჯაკელს, ჭინჭარს, ჩადუნას, ალოშას, ნაჩიკისტარას და თითმავალას (ამ უკანასკნელს ქართველები „თათრულ მხალს“ უწოდებენ). მხალს მოხარშვის შემდეგ სწურავენ, ჰკეფავენ, წვრილად ამარილებენ და ერბოთი ანელებენ.

საჭმელად ფშაველი შემდეგ სოკოებსა ჰხმარობს: მიწისას გულ-წითელას (чижики), წერასწუას (ქამასოკო); ხისას: კალმახა-სოკოს და ქორა-სოკოს. ვამოხარშულსა და ერბოთი შენელებულს მარტო კალმახა-სოკოსა სჭამენ, დანარჩენებს-კი ნაკვერჩხალზედ შემწვარსა სჭამენ.

ფშავლებში საკმაოდ გავრცელებულია შემდეგის მათრობელ სასმელების ხმარება: ღვინისა, არაყისა, ლუდისა. არაყსა და ლუდს შინ აკეთებენ „სულადისას“. ლუდსა ჰხმარობენ უფრო „ჯვარობაში“ (ხატის დღეობაში); მიცვალებულის მოსახსენებლად და ქორწილშიაცა ხმარობენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში-კი, თუ „მერიგეს“ და ან „მექორწილეს“ სიღარიბის გამო არ შეუძლიან ქორწილში ანუ რიგში დასალევად საკმარისის ღვინის ყიდვა. რიგში სუფრაზედ, რომელსაც მიცვალებულისთვის აკურთხებინებენ მღვდელს, რამდენიმე ხელადა ღვინო მაინც უნდა იშოვოს ღარიბ მასპინძელმაც ზედაშედ; სრულიად უღვინოდ არც ქორწილი შეიძლება. ქორწილის პირველ ღამესა და მეორე დღეს ხევის ბერმა უეჭველად ღვინიანის თასით უნდა დაადიდოს მეფის სალოცავი და დედოფლის მამის სალოცავი, შეავედროს მეფე-პატარძალი ღმერთსა და ‹გამოავლიოს› ყველა ჩვეულებრივი „სადიდებულოები“ ღვინიანის თასით ქორწილში მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დანარჩენს დროს-კი მასპინძელს შეუძლიან ღვინის მაგიერ ლუდით გაუმასპინძლდეს სტუმრებსაცა და ხევის ბერსაც.

არაყი უფრო სახელდახელო საშოვნელი და სახმარებელია. ყველა დღესასწაულისა და ხატობისთვის ფშაველი თითო-ოროლა ქვაბს სულადის არაყსა ჰხდის. ფშაველი ღვინოს სარიგოდ და საქორწილოდ კახეთში ყიდულობს, წვრილმან შემთხვევისთვის-კი თიანეთის დუქნებში. ღვინო ზოგიერთებს შინაურიც მოეპოვებათ, რადგანაც საკუთარი ვენახები აქვთ კახეთში.

ფშაველი ვერც ერთს ღვთისგან მოვლინებულს ბედნიერებასა და უბედურებას უღვინო-არაყოდ ვერ დაუხვდება. ყოველ შემთხვევაში თავედა პირველი „რიგ-წესის დასაყენებელი“ და ოჯახისთვის სირცხვილის მომხდელი პური და ღვინო-არაყია ფშაველისთვის. ღვინო-არაყის აკვეთამდე ფშაველმა უარი უნდა სთქვას და გულიდგან სრულიად ამოიფხრას ყველა რწმენანი და ჩვეულებანი, რაც იმას და იმის წინაპართ უხსოვარ დროიდანვე შესისხლ-ხორცებიათ და ძვალ-რბილში გასჯდომიათ. ამის გამო ფშაველს ერთობ სამძიმოდ და შემავიწროებლად მიაჩნია საქრისტო წესი, რომელმაც იმას ხელ-ფეხი შეუკრა და საშინელი სასჯელი დაუწესა თავისუფლად არყის ხდისთვის.

სასმელსა სვამენ უფრო მამაკაცები, დედაკაცები ან სულ არ დალევენ, ან ძალიან ცოტას. ბევრის დალევა, დათრობა, დედაკაცისთვის სირცხვილია. დედაკაცმა „მეღვინეს“ (სასმელის დამსხმელს) თასი უნდა ჩამოართოს შესაფერად დაილოცოს, ცოტა მოსვას და დაუბრუნოს მეღვინეს. მეღვინე, ანუ სხვა ვინმე ზრდილობიანად სთხოვს დედაკაცს, რომ თასი დასცალოს, მაგრამ რაკი ერთხელ უარს იტყვის, დაძალადება აღარ შეიძლება. ფშავლის დედაკაცებში იშვიათად მოიპოება ისეთი, რომ ცოტაც არის სიმთვრალე შეეტყოს, და თუ შეეტყო, მეტი აღარც უნდა, შერცხვება, მოითხრება სოფელში, კარს გამოსავალი დაელევა.

ღვინო-არყისა და ლუდის დასალევ ჰურჭლად ხმარობენ ყანწებს, ჭიქებს, ჯამებსა და თასებს. თუმცა ყველა ამას თავ-თავისი სახელწოდება აქვს, მაგრამ საერთო სახელს ფშაველი ყველას თასს უწოდებს, როცა რომელიმე ჰურჭელი ღვინის სმის დროს ხმარებაშია, მეტადრე თუ ხევის-ბერს დასამწყალობებლად ან ხატის დასადიდებლად ხელში უჭერია, თასი სამღვთო საგანია ფშაველისათვის. ხევის-ბერი ყველა ფშავის ჯვარანგელოზებს სასმელით ავსებულ თასით ადიდებს და „ამწყალობინებს“ ხალხს, როგორც „ხატის სალოცავად მისულს“, ისე შინ სამღვთოში და ქორწილში. ყოველ შემთხვევაში სასმლის დალევას წინ უძღვის შესაფერი ლოცვა, ანუ სადღეგრძელო დამლევისაგან.

სასმელის დამლევი ჰლოცავს მასპინძელს თავის სახლობითურთ და სტუმრებს შემთხვევის შესაფერად. თუ მასპინძელს ქორწილისა და ან სხვა რაიმე სამხიარულო შემთხვევის გამო სტუმრიანობა და ნადომი აქვს, მაშინ ღვინის დამლევი ავედრებს ღმერთსა, რომ მას (მასპინძელს) სულ მუდამ ლხინი და მხიარულობა არ მოაკლოს, ბარაქა მისცეს იმისს ოჯახს. „ღმერთმა დაგლოცოს (სახელი მასპინძლისა), დაგილოცოს და კარგა გიმყოფოს ცოლ-შვილი, ძმა-ძმის-წულები, კიდევ ყველა აქა ბრძანებულნი, ღმერთმა შენ სახლში სულ მუდამ სალხინო სუფრა ნუ მოშალოს“ და სხ. თუ მიცვალებულის მოსახსენებლადა აქვს სტუმრიანობა, მაშინ ასე ილოცება სასმელის დამლევი: „ღმერთმა ეს პირი გაკმაროს, ავი და ურიგო ნულარა მოგარგინოს, ღმერთმა დღევანდელი სამგლოვიარო სუფრა ხვალ სალხინო-სამშვიდობოდ შაგიცვალოს, კეთილად დაგილოცოს ყველა მოსადევარი მოკეთე, კვლავ სალხინო სუფრაზედ შაგიყაროს სტუმრები, შეიწყალოს“ (სახელი მიცვალებულისა).

დავით ხიზანაშვილი

მუზეუმი, და განსაკუთრებით ქალები იქცეოდნენ ასე. ლონდონმა და პარიჟმა, ფლორენციამ და მიუნჰენმა, რომმა და დრეზდენმა თავისს კედლებში იხილეს ამერიკელთა კოლონიები, რომელიც დღე ყოველ იცვლებოდა სულ სხვა-და-სხვა ხალხით. ყოველ ზემოდ დასახელებულს ქალაქში ამერიკელთ ერთი რომელიმე უბანი უჭირავთ და ეს კოლონიები წარმოადგენს ამერიკის ქალაქს საფრანგეთისა, ინგლისისა, იტალიისა და გერმანიის დიდს ქალაქში. ერთი ინგლისური ანდაზა ამბობს, რომ „ჯენტლმენის" გაზრდას შვიდი, ან რვა შთამომავლობა უნდა, ხოლო „ლედისას" სამი, ან ოთხიო. ამერიკელს ქალს ამდენი არ დასჭირებია. შეერთებულმა ინგლისისა და საქსის ჯილაგმა ამერიკელს ქალს სამკვიდროდ გარეგანი მშვენიერება და სილამაზე დაუტოვა, თავისუფალმა დრომ გონება გაუნათლა და ცოდნა შესძინა, სწრაფად ნაშოვნმა სიმდიდრემ გემოვნება გაუუკეთესა, ხოლო ევროპამ დანაკლისი შეუვსო.

# დეპეშა

4 მკათათვე

პეტერბურგი. „Русскій Инвалидъ"-ში დაბეჭდილია: ყაბარდოსა და მთიელთ საზოგადოებათა წარმომადგენლებს გამოეცხადათ, რომ ხელმწიფე იმპერატორი უთმობს მცხოვრებლებს 315,383 დესიატინა საძოვარ ადგილსაო. ამიტომ იმ წარმომადგენელთ გადაიხადეს პარაკლისი, ითხოვეს ხელმწიფე იმპერატორს მოახსენონ მათნი უქვეშევრდომილესნი გრძნობანი და დაადგინეს: ეს საადგილმამულო საქმე რომ ასე გადასწყდა, ამიტომ ყოველს წელიწადს გადაიხადონ ხოლმე პარაკლისი, გამართონ ლოლი და შეჰკრიბონ 6,100 მანეთი, რომელიც უკვე შეკრებილ 4,900 მანეთთან ერთად უნდა მოახმარონ მთიელთა სასწავლებელს. ეს სასწავლებელი უნდა იყოს იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობაზე დაარსებული. აგრეთვე უნდა დააწესონ ორი სტიპენდია საშუალო და უმაღლესს სასწავლებელში ხელმწიფე იმპერატრიცის სახელობისა.

საკანონერო ნავი „ჩერნომორეცი" ორს მკათათვეს მივიდა კრიტის კუნძულზე, სუდაში.

ლონდონი. კრიტიდგან იუწყებიან: რადგანაც მაჰმედ-ფაშა უკანვე დაიბარეს და ოსმალეთი თანახმა არ არის მცხოვრებლებს რეფორმები მისცეს, ამიტომ კრიტელებს გადაუწყვეტიათ ყოველი ღონე იხმარონ თავიანთის წადილის შესასრულებლადაო.

5 მკათათვე

პეტერბურგი. გუშინ მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დაბრუნდნენ ფინლიანდიის ზღვის ნაპირებზედ მგზავრობიდგან.

ვენა. ავსტრიის სამხედრო აგენტმა სტამბოლისამ მანევამ დაათვალიერა ფილიპოპოლსა და სოფიაში ბოლგარიის ჯარები.

სტამბოლი. პორტამ ვენიდგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც არწმუნებენ, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთ გადასწყვიტეს ხელი არ შეუწყონ და ბოლგარიის დამოუკიდებლობა არ გამოაცხადებინებონო.

ბერნი. შვეიცარიის საბჭო იწვევს სახელმწიფოთა უცხო საქმეთა სამინისტროებს კონფერენციაზე, რომელსაც საგნად აქვს განაკარგოს მუშათა მდგომარეობა; ამასთანავე გაუგზავნა ცირკულიარი იმის შესახებ, რომ საბჭო მზად არის კონფერენცია მომავალ შემოდგომამდე გადადოს, რათა საბჭოს საშუალება მიეცეს კონფერენციის პროგრამა შეატყობინოს ყველა სახელმწიფოს, რომელიც კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მკათათვე.

| | მყიდველისა. მან. კ. | გამყიდველისა. მან. კ. | გაყიდულისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 82 |
| იმპერიალი . . | — „ | — „ | 156 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 262½ |
| — მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მკათათვიდამ 16 მკათათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ჟამზე გემები.

# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კაციტაძის მიერ . | „ | 5 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . . | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| თამარ-ცბიერი, აკაკისა . . | „ | 50 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთხრობა, სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |


კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103.

(10—4)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი — 30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108

(50—4)

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის" გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

## „დ ა ნ ი ა",

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაუთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედ და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—10)

# ЗАВОДЪ

## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—43) ა. თუთაევი

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ" და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 5-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე